

გაკვეთილი 2

იმპორტ–ექსპორტი

საერთაშორისო ვაჭრობა

## 5. ინკოტერმსი - საქონლის მიწოდების პირობები

“INCOTERMS“-არის კომერციული ტერმინების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებების დადებისას. იგი განიხილავს მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ისეთ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვის, მიწოდების, დაზღვევის, განბაჟების, ტრანსპორტირების ასპექტებთან და ა.შ. თავად ტერმინი „INCOTERMS“-ი არის შემოკლებული ვარიანტი „International commercial terms“ (საერთაშორისო კომერციული ტერმინები). საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1936 წელს (ქ. პარიზში) მოხდა მათი უნიფიცირება და „INCOTERMS“-ის სახით გამოიცა საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების კრებული, თუმცა აღნიშნული გამოცემა ორიენტირებული იყო ისეთ ტერმინებზე, რომელიც გამოიყენებოდა საქონლის მხოლოდ საზღვაო გადაზიდვისათვის, უკვე შემდგომი რედაქციები კი შეიცავდა ინფორმაციას საქონლის სხვა საშუალებების გადაზიდვების შესახებ. (სარკინიგზო, საჰაერო, ავტოტრანსპორტი). 2010 წელს „INCOTERMS“ ჩამოყალიბდა დღეს მოქმედი საბოლოო რედაქციის სახით. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ „INCOTERMS“-ის თითოეული ტერმინის სათანადო შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისმა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს ხელშეკრულების ორივე მხარე და წარმოიქმნას ისეთი გარემოებები, რომლებიც გამყიდველსა და მყიდველს შორის დავის საგანი გახდება.

?

**საერთაშორისო კომერციული ტერმინები „INCOTERMS“- 2010:**

<b>EXW</b>	ყველა ტიპის ტრანსპორტი	EX Works ( ... named place) ფრანკო ქარხანა ( ... ადგილის დასახლება)
<b>FCA</b>	ყველა ტიპის ტრანსპორტი	Free Carrier (...named place) ფრანკო გადაზიდვა ( ... ადგილის დასახლება)
<b>FAS</b>	საზღვაო ან შიდა წყლების ტრანსპორტი	Free Alongside Ship (... named port of shipment) ფრანკო გემის გასწვრივ (... გამგზავნის პორტის დასახლება)
<b>FOB</b>	საზღვაო ან შიდა წყლების ტრანსპორტი	Free On Board (... named port of shipment) ტვირთი გემბანზე (... გამგზავნის პორტის დასახლება)
<b>CFR</b>	საზღვაო ან შიდა წყლების ტრანსპორტი	Cost and Freight (... named port of destination) ღირებულება და ფრახტი (... დანიშნულების პორტის დასახლება)
<b>CIF</b>	საზღვაო ან შიდა წყლების ტრანსპორტი	Cost, Insurance and Freight (... named port of destination) ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი (... დანიშნულების პორტის დასახლება)
<b>CIP</b>	ყველა ტიპის ტრანსპორტი	Carriage and Insurance Paid To (... named place of destination) ფრახტი/გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია ...მდე (... დანიშნულების ადგილის დასახლება)
<b>CPT</b>	ყველა ტიპის ტრანსპორტი	Carriage Paid To (... named place of destination) გადაზიდვა გადახდილია ...მდე (...დანიშნულების ადგილის დასახლება)
<b>DAT</b>	ყველა ტიპის ტრანსპორტი	Delivered At Terminal (... named terminal of destination) მიწოდება ტერმინალზე (...დანიშნულების ადგილის დასახლება)
<b>DAP</b>	ყველა ტიპის ტრანსპორტი	Delivered At Point (... named point of destination) მიწოდება დანიშნულების პუნქტამდე (...დანიშნულების ადგილის დასახლება)
<b>DDP</b>	ყველა ტიპის ტრანსპორტი	Delivered Duty Paid (... named place of destination) მიწოდება საბაჟო მოსაკრებლების გადახდით (...დანიშნულების ადგილის დასახლება)

# EXW

Ex Works



ფრანკო ქარხანა - ღირებულება მიწოდების მომსახურების გარეშე. ექსპორტიორი პროდუქციას აწვდის საკუთარი ქარხნის ტერიტორიაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის გარეშე. ის არ იღებს არანაირ ვალდებულებას/რისკს მიწოდებთან დაკავშირებით.

# FCA

Free Carrier



ფრანკო გადამზიდავი - გადაზიდვაზე პასუხისმგებლობის გადაბარება. გამყიდველი გადასცემს პროდუქციას, მყიდველის მიერ შერჩეულ გადამზიდავ კომპანიას საკუთარი ქარხნის / საწყობის ტერიტორიაზე ან წინასწარ შეთანხმებულ ადგილას. რისკების გადაბარება ხდება საქონლის იმ სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვისთანავე, რომელიც განახორციელებს გადაზიდვას. გამყიდველი უზრუნველყოფს საექსპორტო პროცედურების მოგვარებას.

# FAS

Free along side Ship



თავისუფალი გემზანის გასწვრივ. - გამოიყენება მხოლოდ საზღვაო და ხმელეთის წყლებზე ტრანსპორტირებისთვის. გამყიდველმა უნდა მიიტანოს ტვირთი პორტის იმ ადგილზე რაც შეთანხმებულია წინასწარ. ამ მომენტიდან მყიდველმა უნდა იზრუნოს გადაზიდვის კონტრაქტზე და მისი პასუხისმგებლობაა ნებისმიერი ზიანი ან დანაკარგი.

მაგ: "FAS-ფოთის ნავსადგური" ნიშნავს, რომ გამყიდველი თავის მოვალეობას ამოწურულად თვლის, როცა საექსპორტო პროცედურების გავლის შემდეგ მიიტანს და განალაგებს ტვირთს ნაპირზე დათქმული გემის გემზანის გასწვრივ, ფოთის ნავსადგურში. ამის შემდგომ მყიდველი უზრუნველყოფს ტვირთის ჩატვირთვას გემზე და ტრანსპორტირებას.

# FOB

Free on Board



ფრანკო გემზანი - გადაზიდვაზე პასუხისმგებლობის გადაბარება. ტერმინი გამოიყენება მხოლოდ საზღვაო და ხმელეთის წყლებზე ტრანსპორტირებისთვის. გამყიდველმა უნდა უზრუნველყოს ტვირთის მიწოდება იმ საზღვაო ხომალდის გემზანზე რომელიც მიუთითა მყიდველმა. ტვირთი როდესაც გადაკვეთს გემის ბორტს ყველა პასუხისმგებლობა გადადის მყიდველზე. მაგ: "FOB-ფოთის" ნიშნავს, რომ გამყიდველი თავის მოვალეობას ამოწურულად თვლის, როცა საექსპორტო პროცედურების გავლის შემდეგ ტვირთს თავისი ხარჯით დატვირთავს ფოთის ნავსადგურში მითითებულ გემზე.

## CFR

Cost and Freight



## CIF

Cost, Insurance & Freight

**CFR - ღირებულება და ფრახტი.** გამყიდველი ვალდებულია თვითონ გაწიოს გადაზიდვის ხარჯი. როდესაც ტვირთი უკვე ხომალდზეა გამყიდველი ადარაა პასუხისმგებელი ზიანზე ან დანაკარგებზე. მაგ: "CFR-ოდესა" ნიშნავს, რომ ექსპორტიორი საქართველოდან იხდის გადაზიდვის ყველა ხარჯებს ოდესამდე, მაგრამ უარს ამბობს დაკარგვის, დაღუპვის, გაფუჭების რისკზე და წარმოქმნილ დამატებით ხარჯებზე იმ მომენტიდან, როცა საქონელი გადაკვეთს დატვირთვის ნავსადგურში გემის მოაჯირს. ექსპორტიორი ასევე აგვარებს საექსპორტო პროცედურებს.

**CIF - ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი.** ამ დროს CFR -ისგან განსხვავებით, ექსპორტიორი იხდის დაზღვევასაც და რისკების გადატანა ხორციელდება როცა საქონელი დატოვებს გემს მყიდველის მიერ დასახელებულ მიმღებ პორტში. CIF-ის მიხედვით, გამყიდველმა უნდა მოიპოვოს ტვირთის დაზღვევა საკუთარი ხარჯებით, რათა დაფაროს მყიდველის რისკები.

## CPT

Carriage Paid to



## CIP

Carriage, insurance paid

**CPT - „გადაზიდვა გადახდილია . . . მდე“.** - გამოიყენება ნებისმიერი ტრანსპორტით გადაზიდვისას. გამყიდველი იხდის ტრანსპორტირების ღირებულებას დანიშნულების ადგილამდე და იხნის პაუსიზმგებლობას, როგორც კი გადააბარებს ტვირთს გადამზიდვს. საექსპორტო პროცედურებს აგვარებს გამყიდველი. მყიდველზე გადადის რისკი მითითებულ ადგილზე ტვირთის განთავსების შემდეგ.

**CIP - „გადაზიდვა, დაზღვევა გადახდილია . . . მდე“** - გადაზიდვის და დაზღვევის ღირებულება გადახდილია - CPT-ისგან განსხვავებით გამყიდველი იხდის ასევე დაზღვევის ღირებულებასაც. რისკი მყიდველზე გადადის როდესაც ტვირთი მიაღწევს შეთანხმებულ ადგილს.

**DAT - Delivered at Terminal / მიწოდება ტერმინალზე (..დანიშნულების ადგილის დასახელება)**

გამყიდველის მოვალეობა შესრულებულია როდესაც პროდუქცია მიტანილია მყიდველის მიერ დასახელებულ ტერმინალზე დანიშნულების ადგილას ან პორტში. ეს მეთოდი გამოიყენება ყველა ტიპის სატრანსპორტო გადაზიდვისას. გამყიდველი იღებს ყველა რისკს ტვირთის ტრანსპორტირების პერიოდში ტერმინალში გადმოტვირთვის ჩათვლით. გამყიდველი ასევე აგვარებს ექსპორტთან დაკავშირებულ ყველა საბაჟო პროცედურას. იმპორტთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების მოგვარებას უზრუნველყოფს იმპორტიორი.

**DAP - Delivered at Place / მიწოდება დანიშნულების პუნქტამდე (..დანიშნულების ადგილის დასახელება)** - DAT-ისგან განსხვავებით გამყიდველის მოვალეობა შესრულებულია როდესაც ტვირთი შიდა ტრანსპორტით მიწოდებულია და გადმოტვირთულია მყიდველის დანიშნულების პუნქტამდე, და არა მხოლოდ ტერმინალამდე (რომელიც შეიძლება პორტშიც იყოს განთავსებული). ეს მეთოდი გამოიყენება ყველა ტიპის სატრანსპორტო გადაზიდვისას. გამყიდველი იღებს ყველა რისკს ტვირთის ტრანსპორტირების პერიოდში ტერმინალში გადმოტვირთვის ჩათვლით. გამყიდველი ასევე აგვარებს ექსპორტთან დაკავშირებულ ყველა საბაჟო პროცედურას. იმპორტთან დაკავშირებული საბაჟო

პროცედურების მოგვარებას უზრუნველყოფს იმპორტიორი. *(ბოლო ორმა ჩაანაცვლა ადრე არსებული ოთხი ფორმა DAF,DES,DEQ,DDU)*

**DDP – „მიწოდება საბაჟო გადასახდელების ჩათვლით“** - ნიშნავს, რომ გამყიდველმა თავის თავზე აიღო ყველა ხარჯები საქონლის დანიშნულების პუნქტამდე ჩატანის, ტრანსპორტირების დროს დაზღვევის და ყველა საბაჟო გადასახადების გადახდის ჩათვლით გარდა.